ცნობის ფურცელი

№ 1719 ყოველ-დღიური გამოცემა **1896—1902** ხუთშაბათი, 7 თებერვალი **№ 1719**

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“** ტელეფონი № 372.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 7 თებერვალს, 1902 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის საბენეფისოდ

ვასო აბაშიძის მონაწილეობით

I

უპატიოსნონი

დრამა 3 მოქ. როვეტისა, თარგ. გალუსტოვის-მიერ.

II

კრეჩინსკის ქორწილი

კომედია 3 მოქ. სუხოვო-კობილინისა, თარგ. ლულაძისა.

მონაწილეობენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, ლეჟავა, ნებიერიძისა, მდივანი; ბ.ბ. ალექსი-მესხიშვილი, აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, ურუშაძე, მირიანაშვილი, იმედაშვილი, სარჯველაძე და სხვ.

შაბათს, 9 თებერვალს, 1902 წ.

წარმოდგენილი იქნება

ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

ახალგაზრდა მსახიობთა საბენეფისოდ

კინი

ტრაგედია 4 მოქ. გუცკოვისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

მზადდება: „მეფე ლირი“, „ორი გმირი“ და „ძალა აღმართსა ხნავს“.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 8—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ხირურგია, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვების 5—6 საათამდე.

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—8 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

დამ-დამობით ექიმების მორიგეობაა, ღამის 9 საათიდან დილის 7 საათამდე. მსურველთ შეუძლიანთ სახლშიაც წაიყვანონ.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274. (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. (0—8)

ექიმი

ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—11-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24

ქ. ბათუმში

იყიდება გაზეთი „ცნობის ფურცელი“

სპ. ჰელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—10)

კიდევ სასოფლო მეურნეობის ამხანაგობათა შესახებ

წინა წერილში*) ჩვენ აღვნიშნეთ, თუ რა მდგომარეობაში არიან ამ ჟამად ჩვენი ქვეყნის სხვა-და-სხვა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობანი. ზოგიერთ მათგანს არსებითაც შევეხეთ და განვმარტეთ ის აზრი, თუ რა საშუალებით და ღონისძიებით შეიძლება ამხანაგობების წაბორძიკებული საქმეების გამოკეთება და ჯეროვან ნიადაგზე დამყარება. სხვათა შორის, გურიის ამხანაგობა „შუამავლის“ საზოგადო კრები ყურადღება მივაქციეთ იმ გარემოებას, რომ ამხანაგობის შეფერხებული საქმეების გამოსაკეთებლად თავდაპირველად საჭიროა შესაფერი წესდების შემუშავება-დამტკიცება, ამხანაგობის მართვა-გამგეობის რიგიანად მოწყობა, ლანჩხუთელ ამხანაგ-წევრების თხოვნის დაკმაყოფილება, მოვალეების გასტუმრება და სხვა და სხვა; მაგრამ, სამწუხაროდ, საზოგადო კრებამ, არამც თუ არ განიხილა და არ შეიწყნარა ზემოხსენებული კითხვები, არამედ არც ერთი მათგანი არ წამოაყენა და მთელი ორი კრება, 16 დეკემბერს და 20 იანვარს, მოანდომა იმის განხილვას—გამოცვლილი იქნეს თუ არა ძველი გამგე!.

ნუ თუ კრებებზე დამსწრე წევრთ მხოლოდ ის აინტერესებდათ—სოლომონი ან მიხეილი დარჩენილიყო გამგედ და არა წესდების შემუშავება, შვიდი ათას მანეთი ვალის შესახებ ჯეროვანი დადგენილების მოხდენა!!

ჩვენდა საუბედუროდ, უმეტესი ნაწილად არსებულ სამეურნეო ამხანაგობების საზოგადო კრება ეგრე უშინარსოდ და უნაყოფოდ თავდება. მაგალითისათვის შორს არ დაგვჭირდება წასვლა, თუ გავიხსენებთ საგარეჯოსა და მაჩხაანის დეპოების, ტფილისის ამხანაგობა „შუამავალის“, ზოგიერთ მეაბრეშუმეთა ამხანაგობების კრებების შედეგს. ჩამოთვლილ ამხანაგობების დაღუპვა-გაუქმებაში დანაშაული მიუძღვით არა მარტო მათ დამაარსებელ გამგეთ: ბ.ბ. ცხვედაძეებს, მაჩხანელებს, ალნიაშვილებს, ანჯაფარიძეებს და სხვებს, არამედ თვით საზოგადოებას, რომელმაც თავის დროზე ვერ აღნიშნა სამეურნეო ამხანაგობების ნაკლულევანება და მათი მონაწილეობა ამ ახალ საქმეში გამოიხატა მხოლოდ ამხანაგობის მოთავეთა დაუმსახურებელ ქება-დიდებაში ან ლანძღვაში. ოცი წელიწადია მას აქეთ, რაც ჩვენში პირველად დაარსდა სავაჭრო დეპოები და სამეურნეო ამხანაგობები და მათ მოღვაწეობის შესახებ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს ძვირად გამოუთქვამთ მიუდგომელი აზრი, არ მოუხდენიათ ჯეროვანი კრიტიკა და არ მოუწადნიათ გამოკვლევა იმ მიზეზებისა, თუ რად ვერ მოიკიდეს ჩვენში ფეხი სასოფლო-მეურნეობის ამხანაგობებმა. რაც შეეხება ცალმხრივ ქებას ან და ლანძღვა-გინებას რომელიმე გამგისა ან ამხ. წევრისას, ამის შესახებ ბევრიც დაწერილა და კიდეც თქმულა. არსებულ სამეურნეო ამხანაგობების საქმეები ამ ჟამად ვერ მიდის რიგიანად, როგორც უკანასკნელ წლის ანგარიშებიდანა სჩანს.

კახეთის მევენახეთა ამხანაგობას ჯერ-ჯერობით, სხვებთან შედარებით, კარგად მიჰყავს საქმე, თუმცა ბაქოსა და მოსკოვის განყოფილებებმა წარსულს წელს წააგეს. სამაგიეროდ, ტფილისის განყოფილებამ ამავე წელს 7,200 მანეთი მოიგო. სულ ამხანაგობის წარსული საანგარიშო წელი დამთავრდა 400,000 მანეთის აპერაციით, რომლიდანაც მას დარჩა წმინდა მოგება 4,000 მანეთი. ამხანაგობას რომ თავის წევრებისათვის დახმარება არ გაეწია და მათი მთელი მოსავალი ღვინისა კარგ ფასებში არ გაესაღებია, ზემო ხსენებული წმინდა მოგება 400,000 მანეთის აპერაციიდან მოგებად არ ჩაითვლებოდა, რადგან იმ საპერაციო წლებში ცოტა ღვინის მოსავალი იყო და კერძო მეღვინეებმა და სირაჯებმა დიდი ფული მოიგეს.

მაშ, რა მიზეზია, რომ იმ დროს, როცა კერძო ვაჭრები დიდ ფულს იგებენ, ჩვენი ამხანაგობები ერთსა და იმავე საპერაციო საგანში ათას და ათი ათას მანეთს აგებენ?! ერთის მხრით, შეიძლება ეს აიხსნას იმ გარემოებით, რომ სამეურნეო ამხანაგობას არ ჰყავს შესაფერისი გამგე-მმართველი, მაგრამ, ჩვენის აზრით, საქმის უმთავრეს დამაბრკოლებელ მიზეზად უნდა ჩაითვალოს საჭირო საპერაციო თანხის უქონლობა.

რამდენიმე წლის წინად სამიწად-მოქმედო სამინისტრომ განიძრახა ამხანაგობებისათვის დახმარების გაწევა და გამოსცა კიდეც მათთვის ნორმალური წესდება, მაგრამ ამ წესდებაში ერთი კრინტიც არ არის დაძრული იმის შესახებ, თუ საიდან მოიპოვონ ხსენებულ ამხანაგობებმა საპერაციო თანხა! განა ის თანხა, რომელიც საწევრო ფულიდან შესდგება, და რომელიც ხშირად არც კი ჰფარავს გამგეობის პირველ დაწყებითი ხარჯებს, საყოფია საპერაციო თანხად, რამდენიც ნორმალურ წესდებაშია ნათქვამი?! ნორმალურ წესდების ძალით ამხანაგობას შეუძლია დააგირაოს რომელსამე საკრედიტო დაწესებულებაში წევრების სხვა-და-სხვა ნაწარმოები, მაგრამ საიდან მოიპოვოს მან ეს ნაწარმოები, როდესაც იგივე წესდება არ ავალებს წევრებს, რომ მთელი მათი ნაწარმოები უთუოდ ამხანაგობას გადასცენ გასასყიდად (ეგეთი მუხლი მხოლოდ კახეთის მევენახეთა ამხანაგობის წესდებაშია შეტანილი). უმეტესი ნაწილი წევრებისა ამჯობინებენ კერძო ვაჭრებს მიჰყიდონ ნაწარმოები გაცილებით უფრო ნაკლებ ფასებში, ვიდრე ამხანაგობა მისცემთ მათ შემდეგ—ერთი თვის განმავლობაში. ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ზოგიერთი სამეურნეო ამხანაგობის გამგეობის წევრები, რომლებსაც დიდი გაჭირვება არ აიძულებდათ, მაგრამ, თავიანთ ნაწარმოებს მაინც კერძო ვაჭრებზე ასაღებდნენ. როგორც ზემო ნათქვამიდანა სჩანს, ჩვენი ამხანაგობები იძულებულნი არიან შეიძინონ სხვა-და-სხვა ნაწარმოები ნაღდ ფულზე ისე, როგორც კერძო ვაჭრები. განსხვავება ამათ შორის მხოლოდ ის არის, რომ ვაჭრებს აპერაციის დაწყებისთანავე აქვთ იმდენი თანხა, რამდენიც ესაჭიროებათ, ასე რომ ისინი აცხადებენ „მაზანდას“ ნაწარმოებზე, ხდებიან ბაზრის ბატონად და ჩვენი ამხანაგობანი კი ამ დროს თითო ოროლ-კაპეიკობით სესხულობენ და ხშირად 17 %-ზედ მეტსაც აძლევენ, მაგრამ მაინც ვერ შოულობენ საჭირო თანხას.

ნორმალურ წესდების ნაკლი საპერაციო თანხის შესახებ რუსეთში არსებულ ამხანაგობების საქმეებზე არ მოქმედობს ეგრე ცუდათ, როგორც ჩვენში, რადგან იქ მათზე ზრუნავენ და დახმარებას უწევენ საჭირო თანხის მოპოვებით და სხვით საერობო და სხვა დაწესებულებანი.

ერთად ერთ საშუალებად ჩვენი ამხანაგობების წაბორძიკებულ საქმეების გამოსაკეთებლად და გასაუმჯობესებლად მიგვაჩნია შემდეგი: 1) შეცვლილ იქმნეს მათი წესდება ადგილობრივ მოთხოვნილების მიხედვით, როგორც პირველ წერილში იყო აღნიშნული; 2) დამყარდეს ამხანაგობათა შორის მჭიდრო კავშირი, რათა მათ საქმეებს განაგებდეს საერთო მმართველობა; 3) ამხანაგობათა კავშირმა აღძრას სამიწად-მოქმედო სამინისტროს წინაშე შუამავლობა, რათა მას მიეცეს გრძელ-ვადიანი სესხი სამელიორაციო კრედიტიდან საპერაციო თანხის გასაძლიერებლად.

დასასრულ ჩვენ მეაბრეშუმეთა ამხანაგობებს კიდევ ერთხელ ურჩევთ შეერთდნენ და დააარსონ ერთი ამხანაგობა მთელ სააბრეშუმო რაიონში სამაზრო განყოფილებითურთ. შეერთება უმჯობესი იქნება ქუთაისის ამხანაგობა „კოლხიდასთან“, როგორც ცენტრალურ და ფართო წესდების მქონე ამხანაგობასთან. ისიც საყურადღებოა, რომ ხსენებულ ამხანაგობას არა აქვს ჯერ ვალი და სათავეში დგანან ისეთი პირნი, რომელთაც საკრედიტო დაწესებულებებში და საზოგადოებაში დიდი ნდობა აქვთ დამსახურებული.

იოსებ ქუთათელაძე

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ 15 დეკემბრისა.

საზღვარ-გარეთ

ინგლისი. ინგლისის მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ჩინეთში სამხედრო ნავთსადგური ვეი-ჰაი-ვეი აღარ გაამაგროს. ვეი-ჰაი-ვეიში მარტო სავაჭრო ნავთ-სადგური და სანიტარული სადგური გაიმართება. მთავრობის გარდაწყვეტილება არც საზოგადოებას მოეწონა და არც გაზეთებს. ყველა გაზეთებში მარტო „ტაიმს“-ი და „დეილი ტელეგრაფ“-ი არ უჩივიან ამის თაობაზე მთავრობას. „ტაიმს“-ი აქებს კიდეც სამინისტროს: იმედენა სიმამაცე გამოიჩინა, რომ თავისი შეცდომა აშკარად აღიარა და გაასწორაო. „დეილი ტელეგრაფ“-ი ამბობს: რაკი ჩვენმა მთავრობამ გადაწყვიტა ვეი-ჰაი-ვეი სავაჭრო ნავთ-სადგურად გადააქციოს, აქედან ცხადია, რომ რუსეთის მტრობა ინგლისს გუნებაშიაც არა ჰქონია. სხვა კონსერვატიული გაზეთები-კი, და ნამეტნავად „სტანდარდ“-ი, მოურიდებლივ ჰკიცხავენ მთავრობას. „სტანდარდ“-ი სწერს:

„რაც მინისტრებმა ვეი-ჰაი-ვეის თაობაზე გამოაცხადეს, სწორედ რომ არაფერსა ჰგავს. ეს ნავთ-სადგური სავაჭრო ბოლოზადა და სასანიტარო სადგურად გადაიქცევა. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ჩვენ ხომ ამ საგნისათვის არ დაგვიჭერია ეს ადგილიო. განა რუსეთის ჯიბრზე არ შევიძინეთ ვეი-ჰაი-ვეი? რუსეთმა პორტ-არტური დაიჭირა, ჩვენ კიდევ სწორედ პორტ-არტურის გასწვრივ ვეი-ჰაი-ვეი დავიჭირეთ და გვეგონა, რომ ამით რუსეთის პორტ-არტურს მნიშვნელობას გაუქარწყლებდით. დღესაც კარგად გვახსოვს, თუ რა მშვენიერ სურათს გვიხატავდა მაშინ მთავრობა; ინგლისის ზარბაზნები ჭექა-ქუხილს მოაყოლებენ და პეჩილიის სრუტეს რუსეთს არ დაანებებენო. ეხლა კი მთავრობამ ისე დაასრულა ეს საქმე, რომ სწორედ საკვეხური აღარა გვაქვს-რა. აკი ლორდ როზბერიმაც სასაცილოდ აიგდო მთავრობა და ახლაც მოექცა. როზბერიმ სთქვა: ჩვენმა მთავრობამ დიდი ამბითა და ჰაი-უით დაიჭირა ვეი-ჰაი-ვეი და ეხლა კი ასე ცუდად დაასრულა ეს საქმეო. მინისტრები ირწმუნებიან: ჩინეთში ძალას ფლოტი გვაძლევს და არა ციხე-სიმაგრეებიო, თუ ასეა, მაშ აქამდე სულ სხვას რაღად ამბობდა მთავრობა?“

ლიბერალური გაზეთები ხომ, აბა რაღა თქმა უნდა, უფრო სასტიკად ჰკიცხავენ მთავრობას. „დეილი ნიუს"-ი ამბობს: „1898 წელს ბალფური დაწვრილებით გვიხსნიდა, რომ ვეი-ჰაი-ვეის „განუსაზღვრელი მნიშვნელობა" აქვს და ისე სჯობია პორტ-არტურს, როგორც დღე ღამესა. რანაირად უნდა ეზიზღებოდეს კაცს საზოგადოება, რომ ასე აშკარად ატყუებდეს!"

საფრანგეთი. 28 იანვარს დეპუტატთა პალატა იუსტიციის სამინისტროს ბიუჯეტს იხილავდა. როცა ლაპარაკი ჯალათებისა და იმათი თანაშემწეების ჯამაგირზე ჩამოვარდა, არიეჟის დეპუტატმა ჟულიენ დიუმამ ურჩია პალატას, სულაც გააუქმოთ სიკვდილით დასჯა საფრანგეთში. დიუმამ სთქვა:

„იმედი მაქვს, რომ პალატის უმეტესობა მხარს დამიჭერს და საფრანგეთის კანონებიდან ამ სასჯელს ამოჰშლის. სიკვდილით დასჯა სწორედ სამარცხვინო ბეჭედსა ჰკრავს ჩვენ კანონებს (მემარცხნენი ტაშს უკრავენ). სიკვდილით დასჯა გაუქმებულია შვეიცარიაში, იტალიაში, ჰოლანდიაში, საბერძნეთში, პორტუგალიაში და სხვა ქვეყნებში, მაშ საფრანგეთში რატომ ვეღარ გავაუქმებთ? ათი კაცი რომ შეცდომით გაამართლონ და მარტო ერთი რომ კიდევ შეცდომით სიკვდილით დასაჯონ, ამ მეორე შეცდომას მაინც მეტი მნიშვნელობა ექნება. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მოსამართლეც ადამიანია და ადამიანი კი ხშირად სცდება. რაც უნდა საზარელი დანაშაული ჩაედინოს კაცს, მაინც ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ შეცდომით სიკვდილით დასჯა უფრო საზარელი საქმეა. ირწმუნებიან, რომ სასჯელის შიში კაცის მკვლელს აყენებს, ხელს უდუნებს უშუშებსო. ურიცხვი, უთვალავი მაგალითი სულ სხვას გვიმტკიცებს. განა ჯავრისაგან სისხლ-მორეულ, გონება გაშმაგებულ კაცს მოაგონებდა-და რა სასჯელი უწერია კანონში, ჯალათი გაახსენდება-და? კაცის მკვლელების უმეტესობა სულ მუდამ სიკვდილით დასჯას ესწრება და თავის თვალით ჰხედავს ამ საშინელ სასჯელს. ეს საზარელი სანახავი უფროც ალელებთ, იმიტომ რომ სისხლი სისხლს მოითხოვს (მემარცხენენი ტაშს უკრავენ). მთელი საფრანგეთი ემზადება, რომ ვიქტორ ჰიუგოს ასი წლის იუბილეი იდღესასწაულოს. ეს დიდებული პოეტი გულწრფელად თხოულობდა, რომ სიკვდილით დასჯა გაუქმებულიყო. თუ გგონიათ, რომ მართლა პატივი ვცეთ იმის ხსენებას, იმაზე უკეთეს ვერას ვიზამთ, თუ ამ სასჯელს გავაუქმებთ".

დიუმას მაგიერი და დეჟანტე მიემხრნენ, მაგრამ იუსტიციის მინისტრმა მონისმა კი იმის წინააღმდეგ ილაპარაკა. მინისტრმა სთქვა:

„ასეთი დიდი საქმის გადაწყვეტა ასე ხელდახელ, გაკვრით, შეუძლებელია. აქ ბიუჯეტზეა ლაპარაკი და არა მაგ სასჯელზე. სიკვდილით დასჯის გაუქმებას მთელი ჩვენი სისხლის სამართლის განხილვაც უნდა მოჰყვეს. ერთ სხდომაში ასე ხელდა-ხელ მაგდენ კანონს კი ვერ გამოვცვლით, ამას გარდა ამ კანონების მოქმედებას დიდი ხნითაც ვერ შევაჩერებთ. („კარგი პასუხია!"). ამიტომ გსთხოვ პალატას, დიუმას წინადადება ჰუარ-ჰყოს და კანონ-პროექტი სიკვდილით სასჯელის გაუქმების თაობაზე მორიგ საქმეების სიაში ჩასწეროს (ტაშს უკრავენ)".

ამის შემდეგ პალატამ 332 ხმით 210 წინააღმდეგ დიუმას წინადადება უარ-ჰყო.

ოსმალეთი. ახალგაზრდა ოსმალებს უნდოდათ, რომ პარიზში კრება მოეხდინათ, მაგრამ პოლიციის პრეფექტმა ლეპინმა აუკრძალათ. ეხლა გაზეთები სწერენ: ახალგაზრდა ოსმალებმა მაინც მოახდინეს პარიზში კრება, აკადემიკოსი ლეფევრ-პონტალისის ხუთი სხდომა ჰქონდათო. კრებას ოსმალთა, ბერძენთა, ალბანელთა, სომეხთა, ქურთებისა და სხვათა კომიტეტების წარმომადგენლები დასწრებიან. ამათში მუსულმანებიც ერივნენ, ქრისტიანებიც და ებრაელებიც. კრებამ დაავალა ყველა დამსწრეს, რომ ოსმალეთის ეხლანდელი წყობილების გაუქმებასა და ევროპიული კონსტიტუციონალური წყობილების დამყარებას ეცადნენ. ამას გარდა ყველა უნდა ეცადოს და ევროპის სახელმწიფოები დაარწმუნოს, რომ ოსმალეთში რეფორმების შემოღება საჭიროა.

ბელგია. ასე, ათი დღის წინად სოციალისტებს უნდოდათ, რომ პალატაში საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე დაჰკითხებოდნენ მთავრობას. ხალხიც დიდი მანიფესტაციების გამართვას აპირებდა ამ დღეს. ამიტომ მთავრობამაც წინადვე თადარიგი დაიჭირა და ეცადა, რომ ხალხს არეულობა არ მოეხდინა. რაც კი პარლამენტისკენ, სამინისტროსაკენ და მეფის სასახლისკენ ქუჩები მიდის, ყველგან 29 იანვარს პოლიცია და ჯარი დააყენეს. სამოქალაქო გვარდიის ჯარის-კაცებს სამ-სამი ფუჭი პატრონა (ამ პატრონას გაფიცვების დროს ხმარობენ და ამიტომ ბელგიაში „გაფიცულ პატრონას" ეძახიან) და ორ-ორი ნამდვილი პატრონა დაურიგეს. ხალხსა და ჯარს მაინც შეტაკება არა მოსვლიათ-რა. აქაიქ პატარ-პატარ ჯგუფი (200—300 კაცი) იდგა და იძახოდა: „გაუმარჯოს საყოველთაო საარჩევნო უფლებას!" გაუმარჯოს რესპუბლიკას!" მაგრამ საზოგადოთ ხალხი კარგ გუნებაზე იყო ყველგან და დემონსტრაციას უფრო მხიარულობის ფერი ედო, ვიდრე ნამდვილი მანიფესტაციისა: კარნავალი იყო და თანაც მშვენიერი ამინდი იდგა, ამიტომ ხალხიც აღარ აღელვებულა. პალატაში ხომ უფრო მშვიდობიანად ჩაიარა საქმემ, სოციალისტების წინადადების მაგივრად, პალატა რაღაცა ადგილობრივ პატარა საქმეს არჩევდა და სხდომა ისე დაიხურა, რომ არაფერი ამბავიც არ მომხდარა. როცა სოციალისტების დეპუტატები პალატიდან გამოვიდნენ, ხალხი დიდის ამბით მიეგება. მერე ხალხი გაზეთ „პეპლ"-ის (ერი) რედაქციისაკენ წავიდა. სოციალისტების მეთაურმა ვანდერველდემ რედაქციის ფანჯრიდან უთხრა ხალხს: „დღეს ხალხი მარტო აღელვებულია, ორიოდე დღის შემდეგ კი, თუ პალატა გაჯიუტდა და საყოველთაო, საარჩევნო უფლება არ დააწესა, ჩვენ ნამდვილ რევოლიუციას მოვახდენთ".

სამხრეთ-აფრიკა. ინგლისის ჯარი ეხლა იმის ცდაშია, რომ როგორმე დევეტი დაიჭიროს. ინგლისის მთავარ-სარდალმა დიდ ძალი ჯარი დაჰხვია ბურების „მოჩვენება სარდალს". მთელი ორანჟეს რესპუბლიკა ხელთ მისცა ამ ჯარებს, ლორდ კიტჩენერი თითონაც ორანჟეს რესპუბლიკაშია, თითონ წინ უძღვის და არიგებს ამ ჯარებს, მაინც ვერას გახდა, მაინც დევეტი ხელიდან გაუსხლტა. გაზეთები სწერენ:

„ლორდ კიტჩენერი ძალიან ეცადა, რომ დევეტი ხელთ ეგდო. დიდ-ხანს ემზადა, რომ ბურების საარაკო სარდლისათვის ოთხივ-კუთხივ წრე შემოევლო, მახეში მოემწყვდია. მთავარ-სარდალმა მართლა ჩინებულად მოაწყო ეს საქმე და დევეტი მართლაც და მოიმწყვდია „ვიწროსა და ავს ალაგსა": ინგლისის ჯარი ყველა მხრიდან მისდევდა დევეტს და ისეთ ადგილას მიიყვანა, სადაც ყველა მხრიდან ბლოკჰაუზებია აშენებული და ბლოკჰაუზებ შუა კიდე ყველგან რკინის მავთულის ღობეა გავლებული. ამ შეღობილ ადგილს 70 მილი სიგანე ჰქონდა და 100 სიგრძე. აი ამ ადგილას დევეტი თავისი რაზმით — 2000 კაცით ისე მოიმწყვდიეს, როგორც ჩიტი კაკანათში. ინგლისელებს გაუხარდათ: ეს არის ხელიდან ვეღარ წაგვივაო; კვალ-და-კვალ მისდევდნენ და ერთს წამს არ ასვენებდნენ. დევეტმაც იარა, იარა და მთელი თავისი რაზმით შეღობილ ადგილს და ბლოკჰაუზებს კი მიადგა. დევეტმა თავის ჯარი წვრილ-წვრილ რაზმებად დაჰყო და უბრძანა, რომ ღობე გაერღვიათ და გასულიყვნენ როგორმე. ბურები ღობეს ეცნენ. ინგლისელებიც წინ დაუხვდნენ და 233 ბური მოჰკლეს, დასჭრეს და ტყვედ წაიყვანეს. მაგრამ დევეტი კი ამათში ვერ იპოვეს. დევეტის თურმე რაც ხარი ჰყვანდა სულ ერთად მოუყარა თავი და ღამე მავთულის ღობეს დააჯახა, ღობე ერთს წამს გვერდზე მოქცა და დევეტი თავისი რაზმით, ღ ფურგუნებით განთავისუფლდა. მარტო 3 კაცი დააკლდა.

დევეტი ეხლა ჩრდილოეთისაკენ წასულა.

ავსტრ-უნგრეთი. ჩეხების დეპუტაციამ პრინც შვარცენბერგისა და გრაფ სილვა-ტაროცკის მეთაურობით კერბერთან იჩივლეს: ქ. ბუდვეისში გერმანელები უკანონოდ იქცევიან და ათას ხრიკს ხმარობენ, რომ ქალაქის არჩევანში გაიმარჯვონ და ხმოსნებად გერმანელები აარჩიონ. ჩეხების დეპუტაცია თურმე საიდუმლოდ მოელაპარაკა ამაზე კერბერს და ამიტომ ეგონათ, რომ ეს საქმე არავის ეცოდინებაო; მაგრამ გერმანულმა გაზეთებმა ხელად გაიგეს ყველაფერი და საქვეყნოდ გახადეს. სტარო ჩეხების გაზეთი „პოლიტიკ"-ი ჰკითხულობს ამის თაობაზე: „გერმანულმა გაზეთებმა რანაირად და საიდან შეიტყვეს ეს ამბავიო? ჩეხი დეპუტატები ამ საქმეზე საიდუმლოდ მოელაპარაკნენ კერბერს და ამიტომ ჩეხურ გაზეთებსაც არა აცოდინეს-რაო. დავიჯეროთ, რომ ეს ამბავი თითონ კერბერმა შეატყობინა გერმანელებსაო, მაგრამ ესეთი ფიქრი გუნებაშიაც კი არ უნდა გავიტაროთ. ამიტომ ჩეხმა დეპუტატებმა უსათუოდ უნდა გამოარკვიონ ეს საქმე"-ო.

დეპეშა

(კაკუთ რის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 6 თებერვალს *)

სამს თებერვალს დეპუტაცია წარუდგა დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს და თავად-აზნაურთა მარშალმა თავ. მელიქიშვილმა წაუკითხა თავად-აზნაურობის ადრესი. დიდმა მთავარმა შემდეგის მოწყალე სიტყვებით გადაუხადა დეპუტაციას მადლობა:

„ვერ ვპოულობ სიტყვებს მადლობა გითხრათ ადრესში გამოთქმულ გრძნობებისათვის. მოსკოვისი და პეტერბურგის თავად-აზნაურობის დახვედრამ და ხელმწიფე იმპერატორის სიტყვამ დაგარწმუნათ, რომ თქვენ მის გულთან ახლო ხართ და რომ ის თქვენ არ გარჩევთ რუსეთის ხალხისა და თავად-აზნაურთაგან. წინაპრებსავით კარგი ქართველები დარჩით და ამასთანავე კარგი რუსებიც იყავით. უანდერძეთ შვილებს თქვენი გრძნობა და ერთგულება, როგორც თქვენ თქვენმა მამებმა გიანდერძეს. მე, კავკასიის უწინდელი გამგე, დარწმუნებული ვარ ქართველების ერთგულებაში თვითმპყრობელის ტახტისადმი და თქვენც კარგად იცით, როგორის სიყვარულით გეპყრობით; ჩემს შვილებსაც ასევე უყვარხართ თქვენ და მე ვუანდერძებ მათ ასეთივე სიყვარული თქვენდამი გადასცენ თავიანთ შვილებს. ერთხელ კიდევ გმადლობთ თქვენ მიერ გამოთქმულ გრძნობებისათვის".

შემდეგ თავ. მელიქიშვილმა დეპუტაციისა და თავად-აზნაურობის მხრივ სალამი მოახსენა დიდ მთავარს ნიკოლოზ მიხეილის ძეს, რომელიც ურმობიდანვე შეუერთდა საქართველოს და იცის ამ ქვეყნის გრძნობანი. დიდმა მთავარმა გრძნობით სავსე სიტყვით მადლობა გადაუხადა დეპუტაციას. შემდეგ დეპუტაცია მიწვეულ იქმნა საუზმეზე, რომელსაც უავგუსტოესი მასპინძლის გარდა დაესწრნენ: მისი უავგუსტოესი შვილები და დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული. საუზმის დროს დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო მიირთვა; სადღეგრძელოს ხანგრძლივის „ურა"-ს ყვირილით მიეგებნენ დამსწრენი. შემდეგ დიდმა მთავარმა მიირთვა სადღეგრძელო ქართველ თავად-აზნაურობისა და ისურვა საქართველოს აღყვავება. შემდეგ თავ. მელიქიშვილმა დალია დიდის მთავრის, კავკასიის წინანდელ გამგის, მიხეილ ნიკოლოზის ძისა და მისი შვილების სადღეგრძელო. საუზმის შემდეგ უავგუსტოესი პირნი მოწყალედ ესაუბრნენ დეპუტაციის თითოეულს წევრს. მისმა უმაღლესობამ დიდმა მთავრინამ მარიამ გიორგის ასულმა საბერძნეთის მეფის მონდობილობით თავის ხელით გადასცა „ქრისტე მაცხოვრის" ორდენები თავად მელიქიშვილს და იუბილეის დროს საბერძნეთის დედოფალთან მყოფ თავადებს ყაჩნაძეს, ამილახვარსა, აბხაზის და საგინაშვილს.

დღეს დეპუტაცია მიპატიჟებულია საზამთრო სასახლეში კონცერტსა და ბალზე.

ხუთშაბათს გრაფი სერგეი შერემეტიევი სადილს უმართავს დეპუტაციას.

---

*) ეს დეპეშა ტელეგრაფმა დაგვიგვიანა.

ახალი ამბავი

— საქართველოს ეგზარხოსმა ალექსიმ ასი მანეთი შესწირა **მცხეთის ტაძრის** განახლებისთვის შეგროვილ თანხას.

— 4 თებერვალს საქართველოს ეგზარხოსმა ალექსიმ **დაათვალიერა** ტფილისის სასულიერო სემინარიის სადგომი და გაიცნო, როგორ არის დაყენებული სწავლის საქმე ამ სასწავლებელში.

— უწმინდესმა სინოდმა **დაამტკიცა** პროექტი სასულიერო სემინარიის შენობისა, რომელიც ვერაზე უნდა აშენდეს; ამასთანავე სინოდმა ნება დართო, რომ შენობისა აგება მიეცეს მოიჯარადრე იაკუბოვიჩს 305,000 მანეთად. პირობით იაკუბოვიჩმა შენობა უნდა დაამთავროს სამი წლის განმავლობაში.

— დღეს, 7 თებერვალს, ქართულ თეატრში დანიშნულია ჩვენის უნიჭიერესის არტისტის ვ. **ალექსი-მესხიშვილის** ბენეფისი. წარმოდგენილი იქმნება 3 მოქმ. დრამა „უპატიოსნონი" და 3 მოქმ. კომედია „კრეჩინსკის ქორწილი".

— მკითხველებს ეხსომებათ, რომ აქამდის აკრძალული იყო ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოების თეატრში **ქართული წარმოდგენების გამართვა.** ახლა ეს ნება-რთვა ქართულ წარმოდგენებისა და კითხვების სექციას უკვე მიუღია ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლის ბ. შაიკევიჩისაგან და 10 თებერვლიდან აღნიშნულ სცენაზე ქართულ წარმოდგენების გამართვას კიდეც შეუდგებიან.

— შაბათს, 9 თებერვალს, სახალხო კითხვათა და წარმოდგენათა სადგომში ქართული სახალხო **სცენის მოყვარეთაგან** წარმოდგენილი იქნება რუსულიდან ნათარგმნი სამ-მოქმედებიანი დრამა „დამნაშავე".

— ტფილისიდან „ნოვ. ვრ."-ს დეპეშით ატყობინებენ: ტფილისის სამოსამართლო პალატაში თებერვლის განმავლობაში დანიშნულია საყურადღებო საქმეები **სახაზინო მიწების** მითვისების შესახებ. 12 თებერვალს უნდა გაირჩეს ცნობილი საქმე ბაკიხანოვისა, რომელსაც ბრალდება 70 მილიონ მანათად ღირებულის სანავთო სახაზინო ადგილის მითვისება; 15 თებერვალს გაირჩევა ამგვარივე საქმე სამუხ ბენგესი; 25 თებერვალს გაირჩევა დიდი საქმე მილის მინდვრის შესახებ, ხოლო 2 მარტს კაბრისტანის საძოვრების მითვისების შესახებ. უმართ. სენატის განკარგულებით ხელმეორედ უნდა გაირჩეს პალატაში საქმე ასადულაევისა, რომელსაც დაბრალდა 7 მილიონ მან. ღირებულის სანავთო ადგილის წართმევა. შემდეგ პალატაშივე უნდა გაირჩეს საქმე მირზოევისა, რომელსაც განზრახვა ჰქონდა ბათუმში მიეთვისებინა სახაზინო ადგილი.

— მოგვყავს ცნობები იმის შესახებ, თუ როგორის წესით შეუძლიათ ჩვენის კუთხის მემამულეებს **დააზღვიონ ვენახები,** თამბაქოსა და ბამბის პლანტაციები ანუ სხვა ნათესობა სეტყვისგან მოსკოვის საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებაში. აღნიშნულ საზოგადოებაში მამული შეუძლია დააზღვიოს მხოლოდ ამ საზოგადოების წევრს; საზოგადოე ის წევრად ითვლება ის, ვინც საწევრო გადასახადს წარუდგენს და თავის მამულს დააზღვევს. საწევრო გადასახადი ორნაირია: ვინც პირველ ხარისხის დამზღვევია, მან საწევრო ფულად უნდა შეიტანოს დასაზღვევ თანხის 2 პროცენტი მანეთზე, ხოლო მეორე ხარისხის დამზღვევმა კი 3 პროცენტი. ახლად შესულ წევრებს საწევრო ფულის წარდგენაში ის შეღავათი მიეცემათ, რომ მათ ნაწილ-ნაწილად, თუნდ ათის წლის განმავლობაში, უნდა გადაიხადოს საწევრო ფული, მაგრამ ყოველ წლობით გარდაწყვეტილი თანასწორი ნაწილი. საზოგადოების წევრებად შეუძლიათ იყონ აგრეთვე მთელ საზოგადოებათ, სოფლებს და ამხანაგობათაც. მამულის დაზღვევა ხდება საზოგადოების წარმომადგენლის დაუსწრებლად და მამულების დაუთვალიერებლად, თანახმად იმ ცნობებისა და განცხადებებისა, რომელიც დამზღვევმა უნდა წარადგენინოს აღნიშნულს საზოგადოებას.

— ქალაქის გამგეობაში შეიმუშავეს მოხსენება, რომ გამოიცეს სავალდებულო დადგენილებანი **მოსამსახურეების დაქირავების** შესახებ.

— ხუთს თებერვალს თ. კ. ი. მუხრანსკიმ თავის სახლში დიდი **ბალი გამართა,** რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ: პრინცესა ევგენია მაქსიმილიანეს ასული ოლდენბურგელი, შინაგან საქმეთა მინისტრის სიპიაგინის მეუღლე, განსვენებულ მთავარ-მართებლის შერემეტევის მეუღლე, მთავარ-მართებელი თ. გოლიცინი მეუღლით, გენერლები და სხვა წარჩინებულნი პირნი.

— რადგანაც ქალაქში ინფლუენციით ავადმყოფობა გავრცელდა, სასანიტარო-საექიმო ინსპექტორმა ქალაქის გამგეობაში აღძრა კითხვა, დროებით რომ ცენტრალურ ქალაქის საავადმყოფოში **მოიწვიონ ორი ექიმი და ორი ფერშალი,** რომელთაც უნდა მიეცეთ ჯამაგირად — პირველებს — თვეში ხუთი თუმანი, მეორეთ — სამი თუმანი თითოს, იმ ფულიდან, რომ გამგეობას აქვს გადადებული გადამდებ სენთან საბრძოლველად.

— 4 თებერვლის სხდომაზე ქალაქის საბჭოს მცირე კომისიამ შეიმუშავა პროექტი, თუ როგორი ტიპის უნდა იქნეს დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზე დასაარსებლად განზრახული ტფილისის **ოთხ კლასიანი სასწავლებელი.** ამ საკითხს, სხვა საქმეთა შორის, ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისია განიხილავს დღეს, 7 თებერვალს.

— ჩვენ აღნიშნული გვქონდა, რომ ტფილისის ქალაქის გამგეობის გარდაწყვეტილებით, ხარფუხის პირველ-დაწყებითი სკოლა **უნდა დაიხურონ** იმ დრომდე, ვიდრე იქ სრულიად არ მოისპობა ყელის ჭირვება. სახალ-

ხო სკოლების ინსპექტორს ამის ნება უკვე დაურთავს და ამიტომ გუშინ გამგეობამ მისწერა ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიას, სისრულეში მოიყვანოს გამგეობის ხსენებული გარდაწყვეტილება.

◆ 5 თებერვალს, საღამოთი, ქალაქის გამგეობაში დანიშნული ტფილისის სასანიტარო-სამკურნალოს აღმასრულებელ კომისიის **სხდომა**, კომისიის წევრთა დაუსწრებლობისა გამო, არ შედგა.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზების სამართველომ გამოაცხადა გზათა სამინისტროს განმარტება, რომლითაც 1902 წ. პირველ იანვრიდან რკინის გზებით **მუქთი სიარულის ნება ეძლევათ** მხოლოდ რკინის გზის მოსამსახურეთა იმ შვილებს, რომელნიც თავიანთ მშობლების ხარჯზე სცხოვრობენ. ესენი არიან: ა) მოსამსახურეთა მცირე წლოვანი შვილები, ბ) სასწავლებლების შეგირდები, მათში უმაღლესი სასწავლებლებისაც, და გ) გასათხოვარი ქალები, თუნდაც სრული წლოვანნი მხოლოდ რომელნიც მშობლებთან ცხოვრობენ.

◆ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წარმომადგენელმა კავკასიაში მიმართა ამ სამინისტროს მოხსენებით, საჭიროა ტფილისის ბოტანიკური ბაღის დაბალ მოხელეთა შტატი **გადიდდეს**.

◆ სოფელ ბოსლევის (შორაპნის მაზრა) მცხოვრებლების თხოვნის თანახმად, რკინის გზის სადგურ ბოსლევში, **კერძო დეპეშებსაც** მიიღებენ გასაგზავნად.

◆ გუბერნიის ადმინისტრაციამ, როგორც გადმოგვცეს, დაამტკიცა ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომ მძიმე ავადმყოფს გამგეობის წევრს ხოსროევს 500 მანეთით **დახმარება** აღმოეჩინოს.

◆ ქალაქის ქიმიურ ლაბორატორიაში ამ ჟამად ყოველის მხრივ იკვლევენ ერთს არა ჩვეულებრივ მოვლენას. ორი გირვანქა ღორის ხორცი მოიტანეს გამოსაკვლევად; ეს ხორცი ისე **ანათებდა**, როგორც ბნელაში ციცინათელა. ძვალს ხორცი გააცალეს და ძვალმა ბნელაში ელვარე შუქით ლაპლაპი დაიწყო. შეუდგნენ დაწვრილებით გამოკვლევას ამ მოვლენისას.

◆ ხვალ გამოვა და დაურიგდებათ ხელისმომწერლებს ჟურნალ „**მთამბი**“ 1-ლი ნომერი შემდეგის შინაარსით: 1) „სიკვდილის წრე“ (ამბავი მარკ ტვენისა) თარგმნილი ალ. საათაშვილისა.—2) ⁂ „ლექსი“ (პუშკინიდან) კონ. ნიკოლაძისა.—3) „ცოდვა“ (სცენები) აზიანისა.—4) „ირლანდია მეცხრამეტე საუკუნეში“ არჩილ ჯორჯაძისა. 5) „უცხოეთის 1901 წელს“—6) „დამატება ფიზიოლოგია“ დ—რის ფოსტერისა (დასასრული), თარგმანი ი. ს. ფანცხავასი.

◆ ორშაბათს, 4 თებერვალს, ავლაბარში მოხდა **სამწუხარო ამბავი**. ჩვეულებრივ სამუშაოდ წასულა ანდრია ქვრივიშვილი, რომელიც ტფილისის განაპირა მინდორში გაჯსა სწვავდა. საღამოს, თხრის დროს, მოზვავდა მიწა და ქვეშ მოიყოლა. საცოდავის ცოლშვილი კი, საღამო რომ მოახლოვდა, ჩვეულებრივ მოელოდნენ, მაგრამ ლოდინი ამაო იყო. ღამის 10 საათი რომ შეიქმნა, მაშინ კი გადაუწყდათ იმედი და მეზობლების დახმარებით ძებნა დაუწყეს მინდორში. რის ვაი-ვაგლახით, ბევრი ძებნის შემდეგ, შუაღამისას მიაღგნენ მის სამუშაო ადგილს და მოზვავებულ მიწის ქვეშ კი დახვდათ უბედური. როდესაც მიწიდან ამოიღეს, ჯერ ისევ თბილი იყო; მშველელი რომ ჰყოლოდა, იქმნება ცოცხალი გადაერჩინათ. სამშაბათს, დილის 7 საათზე, მკვდარი მიიტანეს სახლში; ჟრუანტელს მოჰგვრიდა მნახველს, როდესაც მისი ცოლი და შვილები შეეგებნენ დიდის ყვირილ-ხივილით. საწყლები ძლივს-და მოაშორეს მიცვალებულს. შვიდი შვილი დარჩა, სულ პატარები.

შემახის ამბები

(წერილი შემახიდან)

31 იანვარი შემახელებისთვის საშინელი დღე იყო. ნაშუადღევის 1 საათს 20 წამი უკლდა, რომ დაიწყო მიწის ძვრა. ვინც მოასწრო გამოვარდა სახლიდან, გამოვედი მეც, მაგრამ ფეხზე დგომა შეუძლებელი იყო. უნდა აღვნიშნო, რომ სუსტი მიწის ძვრა დილის $7^{1}/_{2}$ საათზედაც იყო, მაგრამ ყველამ ვერ შეამჩნია. 1-ლ საათზე კი პირველად პატარა ტალღა იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, მეორე უფრო ღონიერი, მესამე და მეოთხე ზედიზედ ისეთი ღონიერი ტალღები იყო, რომ ფეხზე დგომა შეუძლებელი იყო; უკანასკნელი ტალღის დროს მოედანზე ვიდექი. დაიქცა ეკლესიამ და მაღალი გუმბათი ნელ-ნელა გადაწვა სამხრეთისაკენ; იმავე დროს მთელს ქალაქში ავარდა იმისთანა მტვერი, რომ ნახევარ საათის განმავლობაში კაცი ვერას გაარჩევდა და ვერ დაინახავდა, რა ხდებოდა ქალაქში. გარშემო მარტო ღრიანცელი ისმოდა. როცა ჰაერი გადაიწმინდა მტვრისაგან, საშინელი სურათი გადაგვეშალა თვალწინ: მთელი ქალაქი ნანგრევად გადაიქცეულიყო; ამ ნანგრევებში დარბოდა ხალხი და თავისიანებს დაეძებდა.

მკითხველებს ეცოდინებათ, რომ ქალაქი შემახა ორ ნაწილად იყოფა: პირველი—სომხის და მეორე—თათრის, სადაც გამართული იყო ბაზარი. სომხის ნაწილი მდებარეობს მაღლობზედ და შესდგება სამ პარალელი ქუჩიდან. ამ ნაწილში მოთავსებულია ყველა დაწესებულება; აქ ცხოვრობენ სომხები, რუსები და ყველა მოხელენი,—5000 სულზედ მეტი. ქვემო, თათრის ნაწილი, მდებარეობს უფრო სწორე ადგილზედ და შესდგება ვიწრო ქუჩებიდან. სახლებს ზურგი ქუჩისაკენ აქვთ მიქცეული. აქვე არის მთელი ბაზარი, ამ ნაწილში სცხოვრობენ თათრები, 25000 სულამდე ეს თათრის ნაწილი ისეა დანგრეული, რომ სამი-ოთხი სახლის კედელი თუ გადარჩა, დანარჩენი სახლები სულ ქვის ხორად არის ნაქცევი... სომხის ნაწილში გადარჩა ერთი სახლი ხის შენობა, დანარჩენი ან მთლად დაინგრა, ან კიდევ დაშავდა ისე, რომ უნდა დაინგრეს და ახლად აშენდეს.

ჯერ არ არის გამოკვლეული, რამდენი სულია დაღუპული, მაგრამ, როგორც სჩანს, მსხვერპლი ბევრია. ჯერ 1000-ამდინ არის და დანარჩენი კიდე ბევრია.

უფრო მომეტებული მსხვერპლი ქალებისა არის. ქალაქში 20-მდე აბანო არის და ხუთშაბათობით ყველა აბანოებში დაიარებიან ქალები. სუყველა აბანოები დანგრეულია და ამიტომ ჯერ ყურადღება აბანოებისაკენ არის მიქცეული და აბანოების ნანგრევებს სთხრიან. გუშინ, 2 თებერვალს, ამოიყვანეს ერთი ბავში 12 წლისა. ტახტის ქვეშ იყო მოქცეული და როცა გასთხარეს და ამოიყვანეს, დაიწყო სიცილი და სახლისაკენ გაექანა, მაგრამ სახლის მაგივრად ნანგრევები დახვდა.

ბევრი სახლია, რომ მის ქვეშ 7—8 სული არის მოქცეული, მაგრამ, რადგანაც მუშა ცოტა არის (ჯერ მარტო შემახის პოლკი მუშაობს), კიდევ არ არის გათხრილი.

მოსამსახურე ხალხი, რომელიც ცხოვრობს სომხის ნაწილში, სუყველა გადარჩა.

თათრის ნაწილში, თათრების სკოლაში რუსული ენის მასწავლებელი ვლასიანცი 12 შეგირდით მოჰყვა კედელ ქვეშ და დაიღუპა. დანარჩენი შეგირდები გამოვარდნენ ქუჩაში და გადარჩნენ. საწყალმა ვლასიანცმა უთხრა შეგირდებს—„მე მომყევითო“ და აეფარა მაღალ ჯამე-მეჩეთის კედელს, მაგრამ კედელი გადმოინგრა და 12 შეგირდი თავის მასწავლებლით მოჰყვა ქვეშ. გუშინ გასთხარეს ეს ადგილი და ვლასიანცი შეგირდებით მწკრივად იყვნენ დატანილნი. საბრალო მასწავლებელს დარჩა ცოლ-შვილი უპატრონოდ. შემახის ერთი მდიდარი ვაჭარი სალამოვი შემხვდა და შემომტირა: „ჩემი მილიონის შეძლებიდან გადავრჩი მარტო მე და ჯიბეში მარტო ოთხი მანეთი შემრჩაო და ჩემი შეძლება ეხლა მარტო ეს-და არისო“.

საშინელ მდგომარეობაში არის ხალხი. მიწის ძვრა დღესაც არ შეჩერებულა, სახლში ვერავინ შესულა და ან სად შევიდნენ, როცა სახლები მთლად დანგრეულია. დღემდის სწორედ ზაფხულის დღეები იდგა, დღეს დაიწყო წვიმა და რა იქმნება და რა გვეშველება, ღმერთმა იცის!

რაც გასთხარეს და იპოვნეს რამე პატრონებმა, ისევ ქუჩაში ჰყრია და ბევრი ჩივის, რომ რაც გადავარჩინეთ, ღამ-ღამე გვპარავენო. ვისაც კი ღონის-ძიება აქვს, სუყველა მიდის შემახიდან.

ნ ციციშვილი.

„კავკაზ“-ის კორესპონდენტი დეპეშით იტყობინება: საზარელ სანახავს წარმოადგენს ყოფილი ქალაქი. ქალაქის ქვემო ნაწილი და ბაზარი სრულიად განადგურებულია; ზემო ნაწილში მინგრეულ-მონგრეულია შენობები. მთელი ქალაქი მოდებულია ქვითა და ქვიშით, ქუჩები სავსეა ხეებით, ფიცრის ნამტვრევებით, შუშებით, სხვა-და-სხვა სავაჭრო საქონლით. ერთის სიტყვით, ეს კარგა მოზრდილი (25 ათასზედ მეტი მცხოვრები) და ლამაზი ქალაქი მთლად განაცრებულია. მიწა ბევრ ალაგას დახეთქილია. მიწა კიდევ ირყევა, მხოლოდ სუსტად. ცივი დარია, და ხალხი თავს აფარებს კარვებს, რომლებიც საჩქაროდ მომზადებულია ხალიჩისა, ფარდაგებისა და ტილოებისაგან. რასაკვირველია, ამ კარვებში ყველა ვერ თავსდება და ბევრნი ცის ქვეშ, ქუჩაში იმყოფებიან. ამ ბოლოს ხშირი ნისლი იდგა და წვიმა მოდიოდა. დახოცილთა რაოდენობა ჯერ არ იციან, რადგანაც ჯერ კიდევ სთხრიან ნანგრევებს, მაგრამ ამბობენ, რომ დახოცილთა რიცხვი ათას ხუთასზედ მეტი უნდა იყოსო. აბანოების გათხრის დროს რამდენიმე კაცი ცოცხალი აღმოაჩინეს, რომლებიც აბანოს სანათურების წყალობით არ დახოცილან. ზოგი მათგანი მალე დაიხოცნენ. თხრის დროს საზარელ სურათებს წააწყდება კაცი და უნებურად ცრემლს მოჰგვრის. ერთი აბანოს გათხრის დროს იპოვეს ქალი, რომელიც ბავშვს ძუძუს აწოვებს, ცალის ხელით ბავშვი უჭირავს და მეორე ხელით თავს ივარცხნის—რასაკვირველია, ორივე მკვდრები. მეორე აბანოს გათხრის დროს მთელს ოჯახობას წააწყდნენ: დედას ხელი მოუხვევია თავის ოთხის შვილისთვის, ჩაუხუტებია გულში და ისე დახოცილან ყველანი. ხშირად ნახავთ რამდენსამე დედაკაცს ერთად: გასაქცევად მომზადებულნი კარებში შეჯგუფულან, მაგრამ აქ სიკვდილს მოუსწრია იმათთვის; მთელი ჯგუფი კარებთან ჰყრია. იმათი სახის გამომეტყველება შიშს, ტანჯვას და თავზარ-დაცემას ამბეჭდავს. ცალკე ბავშვების გვამებსაც ბევრს შეხვდებით. დაჭრილები ხომ ძალიან ბევრია. ექიმები თან-და-თან მატულობენ; ერთი დიდი ბარაკია აშენებული და მეორესაც საჩქაროდ აშენებენ. საუბედუროდ, დაჭრილებისთვის შესახვევი მასალა ძალიან ნაკლებად არის, საჭიროა ბევრი ფული და, რაც შეიძლება, მალე. საჭიროა გაიგზავნოს დამხმარებელი სასანიტარო რაზმები. ბაქოდან თორმეტი ფურგონი პური მოვიდა, მაგრამ ეს რას აუვა ამოდენა მშიერ ხალხს! ცეცხლი გაჩნდა იმის გამო, რომ სანავთე ჰურჭლები დამსხვრეულა და ამასთან დაღვიებული მაყალა წაქცეულა. ცეცხლმა რამდენიმე მილიონის ზარალი მოიტანა; დაიწვა ბევრი ნაღდი ფული და მრავალი საქონელი. ძალიან დაზარალდნენ შემახის მახლობელი სოფლები. სოფ. მარაზიდან მოსულები ამბობენ, რომ გზაზედ რამდენიმე ვულკანს შევხვდითო. შემახის გზაზედ განუწყვეტლივ მიაქვთ ურმებით ბარგი; ხალხი გარბის, უკან აღარ იხედებიან, მათში დაჭრილებიც ბევრია.

დეპეშების გაგზავნ გამოგზავნამ ტფილისს, ბაქოს და შემახას შორის ძალიან იმატა. შემახის ტელეგრაფის სადგურმა, რომელიც წინად მარტო დღისით მუშაობდა, უბედურების დღიდან, რომელიც შემახას ეწვია, ღამითაც დაიწყო მუშაობა და დღე და ღამ მუშაობს განუწყვეტლივ; დღე-ღამეში იღებს და გზავნის აუარებელ დეპეშას ბაქოსკენ და ქურდამირისკენ; მუშაობს მხოლოდ ერთი აპარატი მორზესი, ამასთანავე ზოგიერთი დეპეშა რამდენიმე ასი სიტყვიდან შესდგება. ყველა დეპეშების გადაცემას ვერ ასწრობენ და ამის გამო სადგურზე დღეში რჩება 100 ზე მეტი გადასაცემი დეპეშა, რომელიც რიგს ელის, ამიტომაც ძალიან გვიანდება. წინად ტელეგრაფის მოსამსახურე შემახაში ექვსი იყო და ოთხი ფოსტალიონი; ორის თებერვლიდან მოუმატეს კიდევ ორი ტელეგრაფისტი და ერთი ფოსტალიონი. ტელეგრაფის აპარატები დაზიანებულის სადგურიდან კარავში გადაიტანეს.

რუსეთის ქრონიკა

∝ პავლოვსკში მომხდარის უწესოების საქმის გარჩევის შესახებ შემდეგსა სწერენ ხარკოვიდან „ნოვოე ვრემია“-ს: „ოლქის სასამართლოს შენობის წინ, სადაც დანიშნულია საქმის გარჩევა, დილიდანვე თავი მოიყარა ხალხმა და ელის ბრალდებულთა მოყვანას. 12 საათის ნახევარზე ციხიდან დაიძრა ხალხი. წინ ეტლით მოუძღვის ტუსაღებს „ისპრავნიკი“, მას შემდეგ ურმით მოჰყავთ ორი დასახიჩრებული გლეხი; ერთს ფეხი სულ არა აქვს; შემდეგ ოთხი დედაკაცი ძუძუ-მწოვარა ბავშვებით, მას შემდეგ რამდენიმე გასათხოვარი ქალები, შემდეგ ახალგაზდა ბიჭები და გლეხები, სულ ყველანი, ტუსაღის ტანისამოსით, ერთმანეთს ეკვრებიან; გარშემო ძლიერი დარაჯია. სასამართლოს პატარა დარბაზში ნახევარი ადგილი დაცლილია ბრალდებულებისთვის: ყველასთვის ცალკე ადგილია დანიშნული. ხარკოვის და მოსკოვის ახალგაზდა ნაფიც ვექილებს ცალკე ალაგი უჭირავთ. ამ საქმის გარჩევაზე დასასწრებლად გამოგზავნილები არიან: საკანონმდებლო სამინისტროსაგან—ვიცე-დირექტორი შჩეგლოვიტოვი, ობერ-პროკურორისაგან—გოლიცინსკი, სინოდისგან—სკვირცოვი, ჟანმდართა კორპუსისაგან—პოდპოლ. ზაგოსკინი, შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან—პოზნანსკი და მისიონერი ბოგოლიუბოვი. ნათესავთაგან ხუთ კაცს მისცეს ნება გარჩევაზე დასწრებისა, გარეშე მაყურებელთ არავის არ უშვებენ, მხოლოდ შეუშვეს სუმის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი შერემეტევსკი და თავმჯდომარე კულაკოვი. ბრალდებულთა შორის დიდი სიჩუმეა. ყველანი ჩაფიქრებულნი არიან; ყველაზე მეტს ყურადღებას იქცევს ტოდოსიენკო, შუა ხნის კაცი, დაღვრემილის სახისა, რომელიც თავის თავს წინასწარმეტყველს მოსეს უწოდებდა, და აგრეთვე სნეული ბიჭი, რომელმაც ის პირველად იწამა; ოთხი ბრალდებული, რომლებიც თავისუფლად არიან, ბევრით განირჩევიან დანარჩენებისგან. ტოდოსიენკო ცალკე ჰყავთ დამწყვდეული, რადგანაც სხვებზე დიდი გავლენა აქვს“.

∝ საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ უმთავრეს სამხედრო სასწავლებლებში ოფიცრობაზე ეგზამენის დაჭერის ნება უნდა მიეცეს მხოლოდ იმ რეალისტებს, რომელთაც რეალურ სასწავლებლის მთელი კურსი აქვთ გათავებული.

∝ ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორი დაეკითხა ფინლანდიის სენატს—რა განკარგულება მოახდინა სენატმა იმ ბრალდების გამო, რომ ფინლანდიაში სახელმწიფო სამსახურის მსურველთ რუსული ენის ცოდნა მოეთხოვოსო. სენატმა უპასუხა, რომ ამ საქმის მოსაწყობადა და გამოსარკვევად განსაკუთრებული კომისია დაინიშნაო.

∝ ფინანსთა სამინისტროს ზოგიერთ ქალაქებიდან მოსვლია შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ საკომერციო სასწავლებლებში ებრაელებს დანიშნულ ნორმის (5%-ის) მეტს იღებდნენ; თუ სასწავლებლებში ადგილი ნაკლებია 50%, ებრაელი მაინც მიიღონო, ხოლო თუ ადგილი ნებას იძლევა, მეტიცაო.

∝ შინაგან საქმეთა სამინისტროში დაარსდა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა გადასინჯოს და შესცვალოს საამშენებლო წესდება. სხვათა შორის, კომისიამ უნდა აღნიშნოს იმ ჯილდოს რაოდენობა, რომელიც უნდა ეძლიოს ხუროთ-მოძღვრებს კერძო და სახაზინო გეგმების შედგენისათვის.

დაბა-სოფლები

დიდი-ჯიხაიში. ჩვენმა სოფელმა, იანეთმა და ჯიქთუბანმა ერთათ წასულ წელს დაადგინა დაარსონ სასოფლო ქსენონი. განაჩენი სათანადო მთავრობამ დაამტკიცა. რაკი ნებართვა დაგვიანდა სხვა-და-სხვა მიზეზების გამო და მხოლოდ შემოდგომაზედ მივიღეთ, ამისათვის ახალს შენობას ვეღარ შეუდექით და დროებით შეკეთდა სასოფლო სამმართველო და შიგ მოეწყო ყოველივე საჭირო: აფთიაქი, ავადმყოფთა სასინჯი ოთახი და ფერშლების ბინა, ხოლო ექიმის და ბებია ქალის ბინა იქვე ახლოა დაქირავებული. დღე-დღეზედ უნდა მოქმედება დაიწყოს ქსენონმა.

მთელი წელიწადი ისე გავიდა, რომ ჩვენის სოფლის გზებზედ კენჭიც არ დაგდებულა. თუმცა დიდ-შარა გზას, რომელიც რკინის გზის ბაქანიდან ხონში მიდის, წააპნიეს ხრეში, მაგრამ წვიმებმა ისე ჩარეცხა, რომ ნაკეთების კვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიც აღარ აჩნია. ისე წახდა გზები, რომ ეტლით მისვლა-მოსვლა საძნელოა.

გზებს ვიღა სჩივის, აქაურ ეტლში ჩამჯდომი კაცი დაზღვეული უნდა იყოს, ვინ იცის რადროს მოესურვება მეეტლეს ეტლის გაქანება, ან და მეორე ეტლის წინ გასწრება ქიშპობით. მგზავრი უნდა ევედროს და ეფეროს, იქნება ნელა და მშვიდობიანად წაიყვანოს ეტლი, თორემ მგზავრს რა მოელის, ვინ იცის. ისიც მოხდება ხოლმე, რომ მეეტლეს თუ არ დაუჯდა თვალში, მგზავრს შუა გზიდანაც გადასვამს: წადი, სადაც გნებავსო.

ს. ბაღდადი (ქუთაისის მაზრა). ბაღდადი დიდი სოფელია და აქ მოთავსებულია რამდენიმე სამაზრო დაწესებულება; ამიტომ აქ სცხოვრობს საკმაოდ ბლომად სოფლის ინტელიგენტი. მიუხედავად ამისა, აქაური წიგნთ საცავ-სამკითხველო ავად გამხდარა და სულს ღაფავს. ჩვენ იმის თქმა როდი გვინდა, თითქო ბიბლიოთეკის არსებობა ხსენებულ დაწესებულებათა მოხელეების არსებობაზე იყო დამოკიდებული; ჩვენ ვამბობთ იმას, რაც ხდება დღეს აქ. შარშან ბიბლიოთეკას 30-მდე წევრი ჰყავდა (საწევრო გადასახადი 3 მანეთია); ეს 30 წევრი დღესაც ითვლება წევრად, მაგრამ შარშანდელი საწევრო ფული დღემდე შვიდი კაცის მეტს არ შემოუტანია, გაზეთები გამოწერილია, მაგრამ ბევრი იკარგება; ამას თქვენი ჭირი წაუღია—რომელიც მოდის, ისიც დროზე ვერ უნახავს სამკითხველოში მოსიარულეს!.

პაპის დღესასწაულის გამო

მალე კათოლიკეთა სამეფოში პაპის ლეონ მე-XIII 25 წლის ტახტზე ასვლას იდღესასწაულებენ. ეს დღესასწაული ევროპის „რეაქციის“ და „ძველი წესის“ დღესასწაულია და ამიტომ მეტი არ არის პაპიზმზე და ლეონ მე-XIII-ზე ორიოდე სიტყვა ვსთქვათ.

ძველი დროიდამ კათოლიკეთა სარწმუნოების უმაღლესი მოძღვარი პაპი კათოლიკეთა გაერთიანებას, მათ სამეფოს გაფართოვება-გაძლიერებას სცდილობდა. პაპს სრული ბატონობა და მეფობა სწადდა და ამ თავის გულთა-სწრაფვას სხვა-და სხვა ღვთისმეტყველების აზრებით ასაბუთებდა. საშუალო საუკუნოებში პაპი საერო მფლობელებს, ხელმწიფეებს მუდმივ ებრძოდა ხოლმე. ეს ბრძოლა მე-IX საუკუნეში პაპის გამარჯვებით დაბოლოვდა. პაპმა სამეფო და სასულიერო უფლება ერთ პირში შეაერთა და მთელს კათოლიკეთა სამეფოში სრულ მბრძანებლად შეიქმნა.

პაპის შეხედულებით უფლების ამ გვარი შეერთება „ღვთის სასუფეველის“ დამკვიდრებას მოასწავებსო. საშუალო საუკუნოების სასულიერო ფილოსოფია ორის ნაწილიდან შესდგებოდა. ერთ ნაწილს საბერძნეთიდან ნაანდერძევი ზოგიერთი აზრები, მეორე ნაწილს ქრისტიანული მისწრაფება შეადგენდა. ძველი ფილოსოფიის განმარტებით მსოფლიო ერთ მთელს წარმოადგენს, რომლის ნაწილები ერთმანეთთან შეკავშირებულები არიან. ქრისტიანული მოძღვრება (ეს ახალი ფილოსოფია) თავის მხრივ კაცობრიობის გაერთიანებას და გამრთელებას ჰქადაგებდა. საშუალო საუკუნის პაპიზმმა ამ ნიადაგზე დაამყარა თავისი ძალა. ამას ის მოსაზრებაც მიუმატა, რომ ეს წუთი-სოფელი უწმინდურების ჭურჭელია და ამ უწმინდურების გასუფთავება მხოლოდ სასულიერო ძალას შეუძლიანო.

მე-IX საუკუნიდამ დაწყებული პაპის გავლენა ევროპაში მეტად შესანიშნავი იყო. იტალიაში პაპის უფლებისაგან განთავისუფლება მხოლოდ 70 წლებში მოხდა, როდესაც იტალიაში საერო ნაციონალურმა მოძრაობამ პაპის ბატონობა დაამხო.

საშუალო საუკუნოების პაპიზმის ძალა რელიგიოზურ ცრუმორწმუნოებაზე იყო აშენებული. ახალ ხანაში პაპი ამავე რელიგიოზურ ნიადაგზე დგას, მხოლოდ ახალი დროის მოთხოვნილებას ბევრს რამეს უთმობს.

პაპი პიი მე-IX თავგამოდებით ებრძოდა ლიბერალიზმს, კომუნიზმს და სოციალიზმს. სარწმუნოების აღსარების თავისუფლებას (свобода совѣсти) სდევნიდა და ყოველის ღონისძიებით სცდილობდა პაპს ძველი ძალა დაბრუნებოდა.

ლეონ მე-XIII ტახტზე ასვლის დროს პაპს საერო უფლება წართმეული ჰქონდა. თუმცა ფაქტიურად ამ ფაქტს დაემორჩილა, ხოლო დავას თავი არ დაანება და ხშირად „რომის უზურპატორების“ წინააღმდეგ გაილაშქრებდა ხოლმე. ლეონი ბევრს სცდილობდა და ეხლაც სცდილობს პაპის ზნეობრივი ძალის გამტკიცებას. ამ მიზნის მისაღწევად იგი ცხოვრებას გაფაციცებით თვალ ყურს ადევნებს, ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობას აკვირდება დ სცდილობს მუშების გული მოიგოს სხვა-და-სხვა „ენციკლიკების“ გამოცემით. ახალმა დრომ აიძულა პაპი ხან დემოკრატების პირ-ბადე ჩამოეფარებინა, ხან სოციალისტებისა. მაგრამ ლეონ მე-XIII ცდა ვერაფრით ვერ დაგვირგვინდა.

პაპის დამარცხების უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ იგი **დოგმატის** გამომსახველია და თავისუფალ მსჯელობის მტერი. სალი ნაწილი ევროპისა თავისუფალ მსჯელობას ვერ ანაცვალებს პაპის ბურუსიან და მისტიურმოძღვრებას. ეს ერთი. მეორე მიზეზი პაპის დამხობისა ის არის, რომპაპმა ევროპის თანამედროვე მოძრაობას ალღო ვერ აუღო. ევროპიელის შეხედულებით ეს ჩვენი ქვეყანა ბიწიერების, შეცდომების და ბინძურების აუზი კი არ არის, არამედ იმისთანა რამ, რასაც თავისი ფასი აქვს. ცხოვრების გაუმჯობესება არის საჭირო და გაუკეთესება, რადგან ხალხს მიწიერი ბედნიერება სწადია. პაპის შეხედულებით კი, ეს წუთი-სოფელი ჩალად არა ღირს, იგი პაპს უნდა ემორჩილებოდეს და პაპი თავის სულიერ ძალით გაასპეტაკებს და გასწმენდს ბინძურ მიწას და ხალხს სასუფეველში შესვლისათვის მოამზადებს.

თავისუფალმა მსჯელობამ და რეალიზმმა დაამარცხა დოგმატი (აზრის შეკვეცა, რწმენა) და სიცოცხლის მისტიური განმარტება.

წერილი ოზურგეთიდან

(თავისუფალ ეტლთა ამხანაგობის კრება.—წვრილი ამბები)

კვირას, 27 იანვარს, მეეტლეთა ამხანაგობის საზოგადო წლიური კრება იყო. კრებას ჰქონდა განსახილველი: ა) განხილვა და დამტკიცება წარსული წლის ანგარიშისა და ბ) არჩევა გამგეობის წევრთა. კრებას დაესწრო 156 წევრებიდან პირადათ და ვექილობით 84 და გაიხსნა ბ. ან. მ. ლონტის თავმჯდომარეობით. კრებას მოხსენდა ორგვარი ანგარიში, პირველი გამგეობის მიერ შედგენილი, ხოლო მეორე — სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილი, რომელთ შორის დიდი განსხვავებაც არ ყოფილა. კრებამ ორივე დაუპირდაპირა ერთი მეორეს და მიიღო სარევიზიო კომისიის მიერ წარდგენილი ანგარიში დამატებით 70 მან., რომელიც გამგეობას შეჰქონდა ანგარიშში, მაგრამ კომისიას კი დაუსაბუთებლად ეცნო.

ანგარიშის მიღების შემდეგ კრებას მოხსენდა ამა მდგომარე წლის ხარჯთ აღრიცხვა, რომელიც შეადგინა თავის მხრით სარევიზიო კომისიას. კომისიის წარმოდგენილ ხარჯთ აღრიცხვით ამხანაგობის გასავალი საგრძნობლად შემცირებულ იქნება. მაგალითად, გამგეს ამხანაგობისას, ნაცვლად 40 მ., უნდა მიეცეს შემდეგში 30 მ. სარევიზიო კომისიას ყველგან თავისი ბასრი გაუკრავს და ყოველივე შეუმცირებია.

დასასრულ მოხდა არჩევნები. ბარათებით დასახელებულ იქმნა ყველა ხმით გამგედ ისევ ძველი რაჟდენ წუწუნავა. მოლარედ კან. შავიშვილი, საპატიო წევრად კოს. გოგოტაძე. კრებამ დაავალა გამგეობას მომავალში იხელმძღვანელოს სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილი ხარჯთ აღრიცხვით. ამავე კრებამ აღირჩია ხუთი საპატიო პირი ზედამხედველ კომიტეტის წევრად.

გურიაში ამ ჟამად მშვენიერი ამინდებია... გავრცელდა სხვა-და-სხვა ავადმყოფობა. მეტადრე ბევრია ავად „ტიფით“. (სახადით.) მძვინვარებს აგრეთვე ყივანა ხველა.

27 იანვარს, საღამოს, ოზურგეთში, აზ. კოკი გოგიტიძის მსახურმა ქალმა უცაბედათ მოკიდებული ნავთი გადისხა. საბრალომ საღამოდან დილამდე ძლივს იცოცხლა.

28 იანვარს, საღამოს, ვიღაც ბოროტ-გამძრახველმა ჩუმად დაჰკრა თავში ჯოხი აქაურ სამხედრო სამმართველოს საქმის მწარმოებელს ბ. ყ. ც—ძეს და თავი გაუტეხა. როგორც მძიმეთ დაშავებულმა განაცხადა, ბოროტ-მოქმედი უნდა იყოს მისივე ნამსახური ბიჭი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! თქვენის პატივცემულის გაზეთის სიღნაღელი კორესპონდენტი „შორეული“ რომელიც „ცნობის ფურცლის“ ერთ-ერთ №-ში ჩემდამი რწმუნებულის ქალთა მარიამის სასწავლებლის სასარგებლოდ 6 იანვარს გამართულს შობის ხის დღესასწაულს აღგვიწერს, მართლა შორეული ყოფილა და შეცდომით მოგვითხრობს დღესასწაულის ამბავს. ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია მთლად მისის კორესპონდენციის გარჩევა და ვიტყვით მხოლოდ შემდეგს: როგორც ყველა საზოგადო კლუბებში, სიღნაღის კლუბშიაც სასმელებითა და ხილეულობის ვაჭრობით ადგილობრივი მებუფეტე ისარგებლებდა და არა ჩემი სასწავლებელი. აგრეთვე კორესპონდენტი შეცდომით ხსნის „შობის ხის“ გამართვის დანიშნულება-მიზანს; იგი გამართული იყო საზოგადოდ სიღნაღელ ერმათათვის და სასარგებლოდ ღარიბ მოწაფე ქალთათვის. აი ამიტომაც აქაურ შეგნებულ პირთ აღმოგვიჩინეს სხვა და სხვა დახმარება; ხოლო ბ. კამიშანმა უყიდა ბილეთები ათ-ღარიბ მოწაფეს.

ზედამხედველი სასწავლებლისა **ე. ცურნკაია.**

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

5 თებერვალი

კრონშტადტი. საზღვაო საკრებულო ასის წლის არსებობას დღესასწაულობს.

ვინდავა. მოსკოვ-ვინდავის ახალის რკინის გზით დიდ-ძალი საქონელი მოაქვთ აქ; ბევრი იმისთანა საქონელია, რომელიც რიგაში იგზავნებოდა, მაგრამ, რადგანაც, ყინულების გამო, ნავთსადგური მიუდგომელი შეიქნა, ვინდავაში იგზავნება.

ტობოლსკი. სახალხო სამკითხველოში გოგოლის დღესასწაულისთვის მომზადებაა.

უფა. ლოთობის წინააღმდეგ სამზრუნველოს გარდაეცა 50,000 მანეთი. ფიქრობენ, მაზრებში სამი სახალხო სახლი ააშენონ.

უფა. უფის მაზრის მოუსავლობით დაზარალებულთათვის ფშვრიის მიღება დაიწყო.

ვარშავა. სამოსწავლო ოლქის მზრუნველის შუამდგომლობის გამო, ვარშავის მაგისტრატმა კომისია დანიშნა, რომ პრაგაში ადგილი ამოირჩიონ, სადაც უნდათ ვაჟთა გიმნაზიის შენობა აგონ.

ჩეხიის მრეწველთა წარმომადგენლებმა ვარშავაში შეუკვეთეს ხის გული და ხელთათმანები.

სულის ავადმყოფთა სამზრუნველო საზოგადოება სოფელ დრევნიცის ახლო აშენებს თავშესაფარს, სადაც უნდა მოათავსონ განსაკუთრებით პოლიციისაგან შეპყრობილი ავადმყოფები.

ბორისოგლებსკი. პანაშვიდი გარდაუხადეს გარდაცვალებულს ლამანსკის, როგორც საურთიერთო კრედიტის დამაარსებელს რუსეთში.

ბელგრადი. ჩერნოგორიის უცხო საქმეთა მინისტრი, რომელსაც საგანგებო მინდობილება აქვს, მალე მოვა აქ. მინისტრი მიართმევს მეფეს ჩერნოგორიის მთავრის ნიკოლოზის წერილს.

იოკოგამა. ინგლისისა და იაპონიის შეთანხმების გამო, სამხედრო მინისტრისა და ფინანსთა მინისტრის ადგილები კორეაში დაიჭირეს პოლიტიკურად ნეიტრალურმა პირებმა.

6 თებერვალი.

პეტერბურგი. ფინანსთა მინისტრმა უმართებულესს სენატს გამოუცხადა: „გარეშე საქმეთა მინისტრის ამურის მხარეს გენერალ-გუბერნატორთან შეთანხმებით საჭიროდ იცნეს გახსნან აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის უკანასკნელ სადგურ „მანჯურიაზე“ სადამოყნო პუნკტი, სადაც ბაჟს გადაახდევინებენ ყველა შემოტანილ საქონელზე“.

ხელმწიფე დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა, გაიგო რა გაჭირვებული მდგომარეობა შემახიის პოლკის აფიცრების ცოლებისა და შვილების, რომელნიც მიწის ძვრამ დააზარალა, უმოწყალესად შესწირა 3 ათასი მანეთი.

ეკატერინოსლავი. ლოთობის საწინააღმდეგო სამზრუნველოს მიეცა 57,000 მანეთი შემწეობა; ამ ფულიდან 12,000 მანეთი უნდა მოხმარდეს ალექსანდროვსკში სახალხო სახლის აშენებას.

კოპენჰაგენი. დამატებით არჩევნებზე საერო კრების გარდაცვალებულის პრეზიდენტის გეგებროს მაგიერ ამოირჩიეს მინისტრ-პრეზიდენტი დეინცერი.

ბაქო. შემახაში მოვიდნენ საპიორები და დღესვე შეუდგნენ ნანგრევების გადათხრას; ეხლა მუშაობენ დანგრეულ ხაზინის გადასათხრელად. დღემდის ამოთხარეს ათასზე მეტი დახოცილი მაჰმადიანი. ახლო-მახლო სოფლები, რომელნიც მიწის ძვრამ საშინლად დააზარალა, მეტად საჭიროებენ შველას. დღეს ნანგრევების ქვეშ აღმოაჩინეს ცოცხალი ქალი.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი [illegible]

განცხადებანი

ზიგ
ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
(საკუთარი ტყიდან)
გრის მოედანზე, ყაფანთან
ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი ნახშირი.
შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.
ტელეფონი № 754. (წ.).

კავკასიის სამშერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში ისყიდება ორი წლის ნამყენი
ხეხილები:
ვაშლები, მსხლები, ატმები და ქლიავი—საუკეთესო ჯიშისა ჰაჯი-ისმაილ-ოღლის სანერგიდან. (3—1)

ახალი წიგნი
საქართველოს წმიდანები
შედგენილი სასულიერო სკოლებისთვის
გ. იოსელიანის-მიერ
მოწონებულია საქართველოს საეპარქიო სასწავლებლის რჩევისაგან.
იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიაში. (10—4)

მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის
„მოამბე-ცნობის ფურცელი“-ზე
სურათებიანი დამატებით

ყოველ თვიური ჟურნალი
„მოამბე“
(წელიწადი მეცხრე)
ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ-გარეთ:
1 წლით . . 10 მ.	1 წლით . . 13 მ.
6 თვით . . 6 „	6 თვით . . 7 „
3 „ . . 3 „	3 „ . . 5 „

ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის ფურცელი“
(წელიწადი მეშვიდე)
ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ-გარეთ:
1 წლით . . 6 მ.	1 წლით . . 9 მ.
6 თვით . . 4 „	6 თვით . . 7 „
1 „ . . 75 კ.	1 „ . . 90 „

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატება და „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი. წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ, 1-ლ აგვისტომდე—2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია და კონტორა იმყოფება ვანქის დიდ ქ., ტელეფონი № 372.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели.“

Дозволено цензурою Тифлисъ, 6 Февраля 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.